ნინო მინდიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ეპოქალური დისკურსის ლიტერატურული რეპრეზენტაცია

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული ბევრი ნიშნით არის საინტერესო. ეს ის პერიოდია, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის ფუნდამენტი ირღვევა, ხოლო ეროვნულ-ნაციონალური იდეები სულ უფრო აქტუალური ხდება რკინის ფარდის მიღმა. ეს პროცესი მტკივნეული, ემოციური და ხშირად არაორგანიზებული ფორმით წარიმართა ქართულ საზოგადოებაში. პოლიტიკურ-სოციალური ამინდის შეცვლამ კი, ერთი მხრივ, შეაფერხა კულტურული პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, სულ სხვა სადინარი მისცა ქართული ლიტერატურის განვითარებას. ცხადია, იმ ტოტალური კულტურის დევალვაცია, რომელსაც საბჭოთა კავშირი ქმნიდა, გულისხმობდა არამარტო გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეჟიმის დაშლას და ახლის შექმნას, არამედ ახალი იდეოლოგიის, ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას და ახალ კულტურულ-სააზროვნო სისტემაში გადართვას, რაც თანდათან აყალიბებდა კიდეც კულტურულ რეალობას. ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტუალურია მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ლიტერატურული პროცესების კვლევა; (მ. კვაჭანტირაძე, შ. იათაშვილი, ბ, წიფურია, მ. მირესაშვილი, დ, ჩიხლაძე....), დაიწერა დისერტაციებიც (ა. იმნაიშვილი, ს, ძნელაძე...)

ჩვენი ინტერესის საგანია იმის განსაზღვრა, თუ რა სიახლეები შეინიშნებოდა თემატიკისა და ფორმის თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურულ დისკურსში და რა ფაქტორებმა იქონია ფუნდამენტური გავლენა ამ სიახლეების დამკვიდრებაზე. უნდა ითქვას ისიც, რომ 90-იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა ქართულ ხელოვნებაში ევროპული კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი, თუმცა, „ამ პერიოდში საზღვარგარეთულ ლიტერატურასთან კავშირი უფრო გართულებული აღმოჩნდა ამჯერად არა იდეოლოგიური, არამედ სოციალურ ეკონომიკური მიზეზით. ფინანსური სიდუხჭირის, ინფორმაციის ნაკლებობის, საზღვარგარეთულ ლიტერატურულ სივრცესთან გაწყვეტილი კავშირის, დასავლეთთან ჩამოუყალიბებელი კულტურული ურთიერთობის გამო საქართველო, მართალია, არც თუ ხანგრძლივი დროით, მაგრამ ვაკუუმში აღმოჩნდა“(იმნაიშვილი, 2010: 21).

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა მყისიერად გამოეხმაურა 90-იანი წლების კულტურულ პროცესს, რაც აისახა კიდეც ანალიტიკურ დისკურსში. „90-იანი წლების პირველი ნახევრის კულტურული ცხოვრება

საქართველოში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფრაგმენტული, დაქსაქსული და ქაოსური. შუა პერიოდიდან პოეზიასა და, საერთოდ, ლიტერატურაში თავს იჩენს ანომიური (კრიზისული) მოვლენების დაძლევის ნიშნები. საზოგადოებრივი ცნობიერება მტკივნეულად რეაგირებს კულტურულ ღირებულებათა ჩანაცვლების ფაქტებზე: არც თუ იშვიათად, მათ აღიქვამს როგორც უცხოს, მიუღებელს, როგორც ფარულ იდეოლოგიურ დივერსიას, თუმცა, იმავდროულად, ცდილობს კულტურის მორღვეული ნაწილების განახლებას და ჩანაცვლებას – ითვისებს და გარდაქმნის მისთვის უფრო მისაღებ ნაკადებს, იხსენებს დავიწყებულ ძველს და სისტემის მოწესრიგებისათვის იღვწის“-აღნიშნავს მანანა კვაჭანტირაძე (კვაჭანტირაძე, 2005: 49).

ზემოაღნიშნულ პროცესებს ხელი შეუწყო ბევრი ახალი ჟურნალისა და გაზეთის დაარსებამ, რომლებმაც, უდავოდ, დიდი წვლილი შეიტანეს მაშინდელი ლიტერატურის განვითარებაში და ერთგვარი ამინდიც შექმნეს ლიტერატურული გემოვნებისა თუ კულტურული ორიენტირების თვალსაზრისით, არაერთი მკვლევარი შენიშნავს, რომ XX საუკუნის 90-აინი წლების დასაწყისში, როცა ნაციონალური ნარატივის კულტურა შეუზღუდავი გახდა და ფართოდ გაეხსნა გზა, დაეცა ქმნილებათა ხარისხიც (წიფურია, 2005:5).

როგორც კრიტიკოსი ეკა ცხადაძეც აღნიშნავს: ,,ჩვენ თვალწინ ფორმირდება პოსტსაბჭოური ქართული მწერლობა, ხდება მტკივნეული დაშორება და განცალკევება ძველთან, ყალიბდება ახალი ტიპის თავისუფალი მწერალი, მიმდინარეობს გადაფასების შეუქცევადი პროცესი“ (ცხადაძე, 2005 :10).

ლიტერატურულ ქმნილებათა ხარისხიც და შესაბამისად, სულიერი კრიზისიც XX საუკუნის ბოლოს გამოიწვია იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ძვრებმა, რომლებიც ასწლეულის დასასრულს მოჰყვა საქართველოში. ეროვნულ პრობლემებს გლობალური პრობლემებიც დაერთო და კრიზისიც უმალ აისახა ქვეყნის სულიერსა თუ ფიზიკურ ყოფაში. თავის მხრივ, კრიზისი საუკუნეთა მიჯნაზე ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. არც XX და XXI საუკუნეთა გზაგასაყარი ყოფილა გამონაკლისი. ასეთი კატაკლიზმების დროს ქვეყნის სულიერი თავშესაფარი ყოველთვის იყო მწერლობა, ლიტერატურა. მწერლის დანიშნულებასა და მოძღვრის ფუნქციაზე ქართულ მწერლობაში არაერთხელ თქმულა. ეს ფუნქცია, საუკუნეთა განმავლობაში, სხვა არა იყო რა, თუ არა ქვეყნის ტკივილის გათავისება, პოეტური სიტყვით უსამართლობაზე გალაშქრება. მაგრამ XX საუკუნის 90-იანი წლების მწერლობა ამგვარ ფუნქციას აღარ კისრულობდა. კულტურას აღარ ძალუძდა ისტორიული პერიოდის განვითარებაში განმსაზღვრელი როლის თამაში. საყოველთაო ქაოსისა თუ ანარქიის პირობებში ქართულ მწერლობაში რადიკალურად განსხვავებული ღირებულებები დამკვიდრდა გასცდა რა ,,სათქმელის ესთეტიკას“ და გარეგნულ ეფექტებზე აგებულ შემოქმედებად იქცა, რასაც, თავის მხრივ, ორი მხარე აღმოაჩნდა – კარგი და ცუდი. ცუდია ის, რომ სათქმელი აღარ არსებობს და თუ არსებობს, ისიც – დესტრუქციული. კარგი ის

აღმოჩნდა, რომ 90-იანელთა პროზა საბჭოური კულტურის ,,დიქტატიდან“ გავიდა და ყურადღება ადამიანის ყოველდღიურ სოციალურ და სულიერ პრობლემებს მიაპყრო.“ (იმნაიშვილი, 2010 : 34).

ლიტერატურულ დისკურსში გავრცელებული აზრის თანახმად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წამყვანი პოზიცია პროზამ დაიმკვიდრა, რადგან სწორედ პროზის საშუალებით მოხერხდა იმ დაგროვილი სათქმელის გადმოცემა წლების განმავლობაში რომ აწუხებდა ქართულ საზოგადოებს, უფროსი თაობის მწერლების გვერდით გამოჩნდნენ სრულიად ახალი სახეები და სახელები, რომლებიც დროთა განმავლობაში თავისი ადგილი დაიმკვიდრეს შემოქმედებით სივრცეში. დათო ბარბაქაძე, ირინე ბაქანიძე, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, რეზო თაბუკაშვილი, ზაზა თვარაძე, შოთა იათაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ზურა მესხი, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ზურაბ ქარუმიძე, არჩილ ქიქოძე, ეკა ღაღანიძე, ბესო ხვედელიძე, ირაკლი ჯავახაძე – ეს ის ავტორები არიან, რომლებმაც შექმნეს XX საუკუნის 90-იანი წლების ახალი პროზა და საკუთარი სათქმელის ფონზე განსაზღვრეს კიდეც ამ პროზის ძირითადი ტენდენციებიც.

ლიტერატურის კრიტიკოსები თანხმდებიან იმ გარემოებაზე, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში გამოიკვეთა ორი თავისებურება:

1) პოლიტიკურ-სოციალური პრობლემატიკა (გარემოს შესაბამისად);

2) პოსტმოდერნისტული ტენდენციები.

80-იანი წლების II ნახევრიდან ქართული მწერლობის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. თავისუფლების მოპოვებამ მოითხოვა თავისუფალი სტრუქტურების შექმნა, მაგრამ ეს არის პერიოდი, როცა ყველა და ყველაფერი პოლიტიკით იყო დაკავებული და ეკონომიური, სოციალური და კულტურული გარდაქმნებისთვის დრო, სახსრები და რაც მთავარია, სურვილი – ნაკლებად რჩებოდა. მართალია, მავანი თავისუფალი სტრუქტურების შექმნა-აწყობაზე ფიქრობდა, მაგრამ ფიქრი ოცნებად გადაიქცა. ნაოცნებარი თავისუფლებით ნაგები ახალი სახელმწიფოს შენების იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგანაც პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველო დესტრუქციის საუკეთესო მაგალითად იქცა, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში ქაოსი და ანარქია სუფევდა. ომიანობა, სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პლატფორმების მქონე სამხედრო დაჯგუფებების თარეში, ზარბაზნების ქუხილი და უმისამართო ტყვიების ზუზუნი ეს ყველაფერი შლიდა და ანადგურებდა კულტურას. 90-იანი წლების მწერლობას ლაშა თაბუკაშვილმა და ზაალ სამადაშვილმა ,,ქვემეხების პერიოდის ლიტერატურა“ უწოდეს. კრიტიკოსები ნანა გაფრინდაშვილი და მარიამ მირესაშვილი აღნიშნავენ: ,,საბჭოთა იმპერიის დაშლა, რომელიც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ქართველ ხალხს, ვერ იქცა ერთმნიშვნელოვან გარანტად რომ ქვეყანაში

პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად, სრული ჰარმონია, სულიერი სიმშვიდე და მატერიალური კეთილდღეობა დაისადგურებდა…..ასეთმა წინაპირობებმა განსაზღვრეს პოსტმოდერნიზმის წარმოშობა“ (მირესაშვილი, 2008: 304).

90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ ცვლილებებს თანდათან კულტურული ცვლილებებიც მოჰყვა. კულტურული რეორიენტაციის ხანაში შესაძლებელი გახდა ტრადიციული სტრუქტურებისგან დამოუკიდებლად (მაგ: მწერალთა კავშირი, სხვდასხვა ოფიციალური გამომცემლობები თუ გამოცემები) ლიტერატურულ სივრცეში გამოჩენილიყო ახალი ჟურნალები ან გაზეთები, შექმნილიყო სხვა მწერლური დაჯგუფებები და ასოციაციები. 90-იანი წლები სწორედაც რომ გამოირჩევა ამგვარი გამოცემებისა და ასოციაციების სიმრავლით. „კალმასობა“, „ალტერნატივა“, „ლიტერატურა და სხვა“, „მე-20 საუკუნე“, „ახალი დროება“....ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ ლიტერატურულმა ორგანოებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის პოპულარიზაციასა და აღორძინებაში.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში არსებული სოციოკულტურული მოვლენები პრობლემებად დაიყო და სხვადასხვანაირად აისახა ახალი თაობის ავტორთა შემოქმედებაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, სოციოკულტურული პრობლემების წამოწევა ამ პერიოდის თამანედროვე ქართული ლიტერატურის ერთ მთლიან და არსებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს. პრობლემების კასკადი შემდეგ თემატურ საკითხებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1) აფხაზეთის ომის თემა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები;

2) ქართულ-ოსური ურთიერთობები და სამაჩაბლოს ომი;

3) სამოქალაქო ომის თემა;

4) თაობათა შორის კონფლიქტი;

5) ნარკომანიის თემა;

6) ღირებულებების დევალვაცია.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 90-იანი წლების მრავალწახნაგიანი კრიზისი თითქმის სრულად აისახა იმ პერიოდის მხატვრულ ტექსტებში, ხოლო „პოსტსაბჭოთა საქართველოსთან ერთად ახალი ეპოქაც იშვა – პოსტმოდერნისტული“ (იმნაიშვილი, 2010 :45).

90-იანი წლების პროზაში, ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესოდ და ამასთნავე, სხვადასხვა რაკურსით აისახა, ომის თემაა, რაც უდავოდ ეპოქის გამოძახილია,თუმცა ომების სიმრავლემ, შეიძლება ითქვას, თავისი დაღი დაასვა ლიტერატურულ

პროცესსაც. სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა ბევრი მწერლის ყურდღება მიიპყრო. ,,რუსთაველის პროსპექტის ომი“ თანამედროვე პროზაში ფრაგმენტულად არის ასახული (ირინე ბაქანიძის, ეკა ღაღანიძის, აკა მორჩილაძის, შოთა იათაშვილის, ზაზა თვარაძის... მოთხრობებში), ზოგან პირდაპირ, ზოგან – ალეგორიული სახით. მაგალითად, ზურაბ სამადაშვილის რომანი ,,სველი აგური“ ზუსტად ასახავს იმ ამბებს, რომლებიც 1990 წლიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა. ტექსტის სათაურიც ,,სველი აგური“ - იმ მძიმე დღეების, უხეში და თავშისაცემი მოგონებების სიმბოლო უნდა იყოს, ხოლო რომანში აღწერილი ძაღლების ორთაბრძოლა – სამოქალაქო ომის ალეგორია. თუ სამოქალაქო ომის თემა ფრაგმენტულდ აისახა იმ პერიოდის ქართულ პროზაში, აფხაზეთისა და ცხინვალის ომებმა სხვა დატვირთვა შეიძინა იმდენად, რამდენადაც ტრაგედიების მასშტაბმა განაპირობა ნატურალისტური ხაზებითა და ფაქტებით ამ თემატიკის პროზის დატვირთვა. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აფხაზეთის ომის თემატიკაზე წერდა, რეზო თაბუკაშილი გახლდათ: ,,ნისლი“, ,,არგაქცევა“, ,,სოხუმის დაცემა“, ,,ავტობიოგრაფია პროფილში“ – ნამდვილი და საკუთარი თვალით ნანახი ფაქტები ამ მოთხრობების ავტორმა მხატვრული პროზის ხერხებით გადმოსცა. რეზო თაბუკაშვილის პერსონაჟები ვერასოდეს შეეგუებიან სამშობლოს (ქალაქის) დაკარგვას, ამიტომაც აფხაზეთის თემაზე შექმნილ ტექსტებს ლაიტმოტივად გასდევს ფრაზა „მე დავბრუნდები,“ რაც იმდროინდელი საზოგადოების უმეტესი ნაწილის განწყობასაც ასახავს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა მწერალი ოპტიმიზმით არ უყურებს მომავალს (ლია ტოკლიკიშვილი, ზურაბ სამადაშვილი...), ამიტომაც მათ მიერ შექმნილი პერსონაჟები ნიჰილიზმსა და უმწეობას განასახიერებენ, ხშირ შემთხვევაში ცდილობენ საკუთარი თავისგან გაქცევას, რადგან ომმა ბევრი რამ სხვაგვარად წარმოაჩინა, მორალური კრიზისი ძნელად გადასალახი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რადგანაც ომს თავისი დაუწერელი კანონები აქვს, ომში არ არსებობს არც დამარცხებული და არც გამარჯვებული, არამედ არსებობს მხოლოდ ომგამოვლილი, რაც, თავისთავად გულისხმობს ერთი მხრივ, ღირებულებების ნიველირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალ რეალობაში მოხვედრასაც.

ომებში დაღუპული თაობა ქართულმა მწერლობამ შემოინახა და უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დღემდე საინტერესო თემად რჩება ქართველი მწერლებისთვის 90-იანი წლებში თუ თითო-ოროლა ტექსტი მიეძღვნა აფხაზეთის ომს, 21-ე საუკუნის 10-იანი წლების მწერლობა უკვე დაინტერესებულია აღნიშნული თემით. თითქმის ყველა თაობის შემოქმედებაში აღინუსხა ომი, რომელიც არამხოლოდ დაკარგულ ტერიტორიას ნიშნავდა, არამედ საკუთარი თავის რწმენისა და მომავლის იმედის დაკარგვის შიშსაც; მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ომის შესახებ გაკეთებული ყოველი ანალიზი და შეფასება ინდივიდუალურია, ვფიქრობთ, ამ ტრაგედიამ გარკვეულწილად თაობებიც გააერთიანა. საგულისხმოა ისიც, რომ თუ აფხაზეთის ომის თემა პროზაში უფრო სრულყოფილად აისახა, ცხინვალის ომის თემა პოეზიაში

უფრო მასშტაბურად წარმოჩინდა (შოთა დარბუაშვილი, მზია ხეთაგური, ციცინო ბაბუციძე, ლია ჭიღლაძე, ზეინაბ მეტრეველი, ირინა გოჩაშვილი, თამარ ბაბუციძე...), აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ მარკერად ნოსტალგიური განწყობილება უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის ომი სამუდამო იარად აისახა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, თუ მხატვრულ ტექსტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ცალსახაა ამ ავტორების დამოკიდებულება როგორც თავად კონფლიქტზე, ასევე ურთიერთდამოკიდებულებაზეც. საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი ხედვა იგრძნობა არა მარტო ქართველ ავტორთა შემოქმედებაში (ნიკოლოზ რომანტიუკი, აზა ხუდჯაევა, ზინაიდა ბიტაროვა, ალექსანდრე სანაკოევი..)

ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრების,

ერთი წარწყმედის, ერთი ცხონების,

მე ერთი ვიცი, რომ ორი ცრემლით,

ჩემს ცხინვალს მაინც ვემახსოვრები...(დარბუაშვილი, 2009 :15)

მშობლიურ კერას მოწყვეტილი ადამიანის განცდები მძაფრად არის აღწერილი ამ პერიოდის არა მარტო ქართულ მხატვრულ ტექსტებში

გახსოვს ჩვენი ქალაქი,

,,ჩვენი ეზოს სამანი

და სურნელი ქუჩებში,

თეთრი იასამანის.

მზის და მთვარის

ქორწილი,

ცა, ნეტარი ფერებით,

მერე დროის ცვლილებით,-

დილა,-გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი თ...“(დარბუაშვილი, 2009)

ან

,,სამაჩაბლოდან მიწის სურნელი
ჩამომიტანა ალუბლის ფიფქმა,
მონატრებიათ ციხის ქონგურებს
მუსიკის რიტმი და ლექსის რითმა.
გველოდებიან ნასახლარები,
იმედის ყვავილს ფურცლებს აცლიან.

გველოდებიან, რომ დავბრუნდებით
და ცრემლით სავსე დოქებს დაცლიან“...(ჭიღლაძე, 2018 :5)

ან

Где ты теперь и как сложилось

Мой словный друг, судьба твая?

Твои мне ландыши проснились

Долекой юности друзя.(ხუდჯაევა, 2003, 5)

ყველაზე მტკივნეული კი ისაა, რომ სიტყვა **ლტოლვილმა** ნეგატიური დატვირთვა შეიძინა, საზოგადოების შემწყნარებლური დამოკიდებულებაც შენელდა, რამაც საკუთარ სახლებს მოწყვეტილ ადამიანებში ნიჰილიზმი გამოიწვია.

,,ლიახვმა ცრემლიც თან გაიყოლა,

მე კი მთვრალი ვარ და ვარ ყარიბი,

აღარაფერი შემომრჩენია,

ლტოლვილი მქვია მტრისთვის არიფი...“(დარბუაშვილი, 2009)

ან

,,დევნილ კაცს, ბუდეაშლილს

ვერ ეტყვი: გაიარე..

გული დატოვე სახლში

გულს ნუ გაიტან გარეთ!

დაუმტვრევ მრუდე არშინს_

ქორ-ვაჭრის დავთარს არევ,,,

გული დატოვე სახლში, გულს ნუ გაიტან გარეთ!“(ხეთაგური, 2014)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 90-იანი წლებიდან, პოლიტიკური და სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე, ლიტერატურულმა პროცესმა განმსაზღვრელი როლი შეასრულა იმ პერიოდის ქართული კულტურული სივრცის ფორმირების პროცესში, მართალია, აშკარად გამოიკვეთა პროზის განსაკუთრებული როლი საერთო ლიტერატურულ ფერხულში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოეზია. ამას გარდა, ეს არ იყო მხოლოდ ეპოქათა ცვალებადობის ნიადაგზე გამოწვეული ტენდენცია. იმ კულტურული უძრაობისა და პოლიტიკურ-სოციალური ქაოსისათვის, რაც 1989 წლიდან

პერმანენტულად ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში, ლიტერატურული პროცესის უწყვეტობა აშკარაა. სამოქალაქო ომებისა და სოციალურ-ეკონომიკური ნგრევების ფონზე საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩა ქართულ ლიტერატურაში მოსული ახალი თაობა. შესაბამისად, ამ თაობის მიმართ ნაკლები ინტერესი გამოიჩინა სალიტერატურო კრიტიკამაც, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან გარკვეული უნდობლობისა, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულ მწერლობაში მოსულმა ახალმა თაობამ მაინც შეძლო თავის დამკვიდრება და სწორედ მათს შემოქმედებაში მოხდა **ეპოქალური დისკურსის ლიტერატურული რეპრეზენტაცია.**

გამოყენებული ლიტერატურა

1. დარბუაშვილი შოთა, ლექსები, 2009 წ;
2. იმნაიშვილი ანა, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა), http://old.press.tsu.ge 2010 წ.;
3. კვაჭანტირაძე მანანა, ,,წერილები ლიტერატურაზე“, თბილისი, 2001წ.;
4. კვაჭანტირაძე მანანა, ,,გამეორება“, თბილისი, 2005 წ.;
5. მირესაშვილი მარიამ, გაფრინდაშვილი ნანა, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, „ნეკერჩხალი“, თბილისი, 2008;
6. მუზაშვილი ნუგზარ, ,,პოსტმოდერნისტული ბიოგრაფიები“, გაზეთი “ჩვენი მწერლობა“ № 48, 2001წ;
7. ცხადაძე ეკა, ,,ჭეშმარიტება ტექსტშია ანუ ახალი ზღაპრობანი“, ჟურნალი ,,არილი“ №1, 2005 წ.;
8. წიფურია ბელა, ,,დახშული სივრციდან თავისუფალი ცნობიერებისკენ“, www.cvali.com, 2002 წ;
9. წიფურია ბელა, ,,პოსტსაბჭოური პერიოდი და პოსტმოდერნიზაცია ქართულ მწერლობაში”, ჟურნალი “ლიტერატურული პალიტრა“№4, №6, 2005წ;
10. ჭიღლაძე ლია, ლექსები, ჟურნალი „ანეული“,№3, 2018 წ;
11. ხეთაგური მზია, ლექსები, http://www.biblioteka.litklubi.ge, 2014 წ;
12. ხუდჯაევა აზა, ლექსები, ჟურნალი „დარიალი“№ 4, 2003 წ.

Abstract

The last decade of the 20th century is interesting by many different features. This is the period when the foundation of the totalitarian regime started to destroy and the national ideas became more and more acute behind the iron curtain. The given process took place in Georgian society in the painful, emotional and often disorganized way.

The change of the political and social conditions on the one hand hampered the development of the culture process and on the other hand it gave the completely different route to the development of Georgian literature. The collapse of the Soviet political and economic regime has in a certain way contributed to the formation of the public consciousness, which made certain corrections to the Georgian cultural thinking system too.

The research of the literary processes of the 1990s and of the beginning of the 21st century has become more acute lately (M. Kvachantiradze, Sh. Iatashvili, B. Tsipuria, M. Piresashvili, D. Chikhladze, N. Kutsia).

The subject to our interest is to define what influence have the radical epochal changes made on the Georgian cultural processes and what is the literary representation of those issues.

Based on the studied materials, the cascade of the problems can be defined in the following thematic issues:

1) Topic of the Abkhazian War; Georgian-Abkhazian relationships;

2) Georgian-Ossetian relationships and the Tskhinvali War;

3) Topic of the civil war;

4) Conflict between generations;

5) Drug-addiction topic;

6) Devaluation of values;

It can be clearly claimed that the diverse crisis of the 1990s has been almost completely reflected in Georgian fiction texts.